ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N116

ქ. თბილისი

16 მარტი 2015 წ.

ერთის მხრივ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (შემდგომში _ „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის გრიგოლ გიორგაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს სანატორიუმი ,,საქართველო" (შემდგომში "მიმწოდებელი"), წარმოდგენილი, წარმომადგენლის მამუკა მაცაბერიძის სახით, შემდგომში ერთობლივად წოდებული მხარეებად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მესამე პუნქტის „ზ" ქვეპუნქტისა და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა ორგანიზებულად განსახლების ობიექტების ადმინისტრაციის, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების ხარჯების განსაზღვრისა და ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო დოკუმენტაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2015 წლის 5 იანვრის N01 ბრძანების (შემდგომში - „ბრძანება") საფუძველზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – „შემსყიდველსა" და „მიმწოდებელს" შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული, მათ შორის, „ბრძანების" მე-3 პუნქტის „ა", „ბ", „დ", „ვ" და „ზ" ქვეპუნქტებში მოცემული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს „შემსყიდველმა" „მიმწოდებლის" მიერ „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული „მომსახურების" მიწოდებას.

1.6. „მომსახურება" – „ხელშეკრულების" მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „ინსპექტირება" – „ხელშეკრულების" პირობების შესრულების კონტროლი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი.

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით „შემსყიდველისათვის" გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, კანონმდებლობით დადგენილი წესით „მიმწოდებლის" მფლობელობაში არსებული (შემდგომში - „მფლობელობაში არსებული") დევნილთა ორგანიზებულად განსახლების ობიექტის (დევნილთათვის მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემული საცხოვრებელი ფართის) ადმინისტრაციის (CPV 98341130 - შენობა-ნაგებობების მომსახურება (დასუფთავების ჩათვლით)) მომსახურების შესყიდვა, „ხელშეკრულების" პირობების შესაბამისად.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. „ხელშეკრულების" სავარაუდო ღირებულება შეადგენს 9576, 00 (ცხრა ათას ხუთასსამოცდათექვსმეტი) ლარს.

3.2. „ხელშეკრულების" ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი „მომსახურების" ღირებულებას, ასევე წინამდებარე „ხელშეკრულების" შესრულებასთან დაკავშირებით „მიმწოდებლის" მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3. „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის და „ბრძანების“ შესაბამისად, დევნილთა ორგანიზებულად განსახლების ობიექტებში (დევნილთათვის მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემული საცხოვრებელი ფართში) ერთ დევნილზე განსაზღვრულია თვეში 2 (ორი) ლარის ოდენობა.
3.4. ამ „ხელშეკრულების“ გაფორმების დღისათვის, სამინისტროში არსებული დევნილთა მონაცემთა ბაზის მიხედვით „მიმწოდებლის“ „მფლობელობაში არსებულ“ ობიექტზე, ორგანიზებულად განსახლებულ და რეგისტრირებულ დევნილთა რიცხოვნება შეადგენს 399 (სამასოთხმოცდაცხრამეტი) სულს.
3.5. ამ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვის ანაზღაურება ხდება ყოველთვიურად, რაც გამოიანგარიშება ამ მუხლის 3.3. პუნქტში მითითებული ტარიფის გამრავლებით დევნილთა მონაცემთა ბაზის მიხედვით ამ ობიექტში ყოველთვიურად რეგისტრირებულ დევნილთა რაოდენობაზე.

მუხლი 4. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადები
4.1. „მომსახურების“ გაწევის ადგილია - წყალტუბო, რუსთაველის ქ.N41
4.2. „მომსახურების“ გაწევის ვადაა 2015 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 5. მხარეთა უფლება–მოვალეობები
5.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
5.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს გაწეული „მომსახურების“ ღირებულების ანაზღაურება „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ ვადებში და პირობებით;
ბ) „მიმწოდებლისაგან“ „მომსახურების“ გაწევის ნებისმიერ ეტაპზე შეამოწმოს „მომსახურების“ ხარისხის შესაბამისობა „ხელშეკრულების“ პირობებთან.
5.3. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს „შემსყიდველს“ „მომსახურების“ ღირებულების ანაზღაურება „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ ვადებში და პირობებით.
5.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
ა) ყოველდღიურად განახორციელოს „მომსახურება“ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, ხარისხიანად და სრულად;
ბ) შესაბამისი შეტყობინების შემთხვევაში, 2 (ორი) დღის ვადაში აღმოფხვრას გაწეული „მომსახურების“ შემოწმების შედეგად გამოვლენილი წუნი საკუთარი ხარჯებით;
გ) „მომსახურების“ მიწოდებისას აცნობოს „შემსყიდველს“ ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;
დ) მის „მფლობელობაში არსებულ“ ობიექტზე ორგანიზებულად განსახლებულ დევნილებს საჯაროდ გააცნოს ამ „ხელშეკრულების“ პირობები.

მუხლი 6. გარანტია
„მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ წინამდებარე „ხელშეკრულების“ საფუძველზე გაწეული „მომსახურების“ მიწოდება განხორციელდება ყოველდღიურად და გაწეული „მომსახურება“ იქნება შესრულებული ჯეროვნად, სრულად და ხარისხიანად.

მუხლი 7. ინსპექტირება
7.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს, ხოლო „მიმწოდებელი“ ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ინსპექტირების განხორციელების დროს.
7.2. ინსპექტირებას განახორციელებს სამინისტროს იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს უფროსი სპეციალისტი თამარა გუგეშაშვილი.
7.3. „შემსყიდველის“ მიერ ინსპექტირება განხორციელდება „ხელშეკრულების“ მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.
7.4. „შემსყიდველის“ შესაბამისი წარმომადგენელი უფლებამოსილია განახორციელოს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება ხარვეზი, „მიმწოდებელი“ ვალდებულია “შემსყიდველის“ მოთხოვნიდან 2 (ორი) დღის ვადაში გამოასწოროს იგი.

მუხლი 8. მომსახურების მიღება-ჩაბარება

8.1. „მომსახურება“ მიღებულად ჩაითვლება მას შემდეგ, რაც მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები ხელს მოაწერენ შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტს.

8.2. „შემსყიდველის“ მხრიდან ამ მუხლის 8.1. პუნქტში აღნიშნულ მიღება-ჩაბარების აქტს ხელს მოაწერს „ხელშეკრულების“ მე-7 მუხლის 7.2. პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი.

მუხლი 9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით „„შემსყიდველისათვის“ გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში;

9.2. ანგარიშწორება ხორციელდება ყოველთვიურად, საანგარიშსწორებო პერიოდში სამინისტროში არსებულ დევნილთა მონაცემთა ბაზის მიხედვით, „მიმწოდებლის“ „მფლობელობაში არსებულ“ ობიექტზე 2015 წლის 1 იანვრიდან ყოველთვიურად რეგისტრირებულ დევნილთა რიცხოვნების გათვალისწინებით გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერისა და შესაბამისი დოკუმენტაციის „შემსყიდველისათვის“ წარმოდგენიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

10.2 ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში „ხელშეკრულების“ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე, შეტყობინების ყველა შესაძლო საშუალებით, უნდა გაუგზავნოს ინფორმაცია მეორე მხარეს ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით, აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

მუხლი 11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1. „ხელშეკრულებით“ მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრებათ პასუხისმგებლობა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

11.2. „მიმწოდებლის“ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, „შემსყიდველი“ არ აუნაზღაურებს ამ „ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად მიმდინარე თვის ასანაზღაურებელ თანხას.

11.3. იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი“ არ ასრულებს ან სისტემატურად არღვევს „ხელშეკრულებით“ ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და „მიმწოდებელს“ დააკისროს ჯარიმა ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულების 30%-ის ოდენობით.

11.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. ნებისმიერი ცვლილება „ხელშეკრულებაში“ შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ წერილობითი ფორმით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა „ხელშეკრულების“ პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია 10 (ათი) დღით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.3. „ხელშეკრულების“ პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება „ხელშეკრულების“ პირობები „შემსყიდველისთვის“, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა დაუშვებელია „ხელშეკრულების“ ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

მუხლი 13. დავების გადაწყვეტა

13.1. „ხელშეკრულების“ შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

მუხლი 14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

14.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე, როგორც წესი, მინიმუმ 10 (ათი) დღით ადრე მაინც.

14.3. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს „ხელშეკრულების“ მოქმედება „ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად, თუ „მიმწოდებელი“ ვერ უზრუნველყოფს ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

14.4. „ხელშეკრულების“ ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ „ხელშკრულებით“ განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.5. „ხელშეკრულება“ აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14.6. „ხელშეკრულება“ შეწყვეტილად ჩაითვლება „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ” და „გ” ქვეპუნქტებით შესაბამისად, დევნილთათვის მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემული საცხოვრებელი ფართიდან (ყოფილი დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტი) დევნილთა გამოსახლების შემთხვევაში.

14.7. ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის შესაბამისად, დევნილთათვის მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემული საცხოვრებელი ფართიდან (ყოფილი კომპაქტური განსახლების ობიექტი) დევნილთა გამოსახლების შემთხვევაში, დევნილთან შესაბამისი წერილობითი შეთანხმების დადებისთანავე.

14.8. „მიმწოდებელი” ვალდებულია 14.6. პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების მოსალოდნელი დადგომის შესახებ აცნობოს „შემსყიდველს” არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე.

მუხლი 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. „ხელშეკრულება“ ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და ვრცელდება 2015 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთოებებზე.

15.2. „ხელშეკრულება“ ძალაშია 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 16. სხვა პირობები

16.1. „ხელშეკრულებით“ გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

16.2. „ხელშეკრულება“ შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან 2 (ორი) ინახება „შემსყიდველთან“, ხოლო 1 (ერთი) მიმწოდებელთან.

16.3. „ხელშეკრულებასთან“ დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მუხლი 17. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ს/კოდი: 200037646 მისამართი: ქ.თბილისი, თამარაშვილის ქ.#15ა სახელმწიფო ხაზინა ს/კოდი: 220101222 ა/ა: 200122900 მინისტრის პირველი მოადგილე გრიგოლ გიორგაძე	შპს სანატორიუმი „საქართველო“ ს/კოდი: 221268036 მისამართი: წყალტუბო, რუსთაველის ქ.N41 ტელ: 598 274009 ბ/დასახ: სს „ლიბერთი ბანკი“ ბ/კოდი: LBRTGE22 ა/ა: GE 08 LB 0113 1323 2363 2000 წარმომადგენელი მამუკა მაცაბერიძე